ევროპარლამენტის **<u>რეზოლუცია</u> საქართველოსთან დაკავშირებით**

ევროპარლამენტი,

_ 1999 წელს ძალაში შესული საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობისა და პარტნიორობის შესახებ დადებული შეთანხმების საფუძველზე.

_ ევროპარლამენტის ადრეული ანგარიშებისა და რეზოლუციების გათვალისწინებით, რომლებიც ეხება სამხრეთ კავკასიის რეგიონთან ურთიერთობებს და კერძოდ, 2004 წლის 26 თებერვლის ანგარიშზე დაყრდნობით, რომელიც ასახავს ევროკავშირის პოლიტიკას სამხრეთ კავკასიის რეგიონთან მიმართებაში.

_ გაფართოებული ევროპისა და ევროკავშირის სანეზობლო პოლიტიკის გათვალისწინებით, რომელშიც მოიაზრება სამხრეთ კავკასიის რეგიონი და ასევე ქვეყნების მიერ გაცხადებულ სამომავლო მიზნებზე დაყრდნობით, რომლებიც უკავშირდება რეგიონის როლს ევროპაში ინტეგრაციისა და ტანამშრომლობის საკითხებში.

_ რეგლამენტის 103(4) მუხლის გათვალისწინებით,

ა) მიესალმება ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეფორმებს, ეფექტური დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბების პროცესის მიმდინარეობას, მთავრობის მიერ კორუფციათან ბრძოლის მცდელობას, ამავდროულად მშვიდობიანი და განვითარებული ქვეყნის მშენებლობას, რომელიც ხელს შეუწყობს მშვიდობას რეგიონში და მთელს ევროპაში;

ბ) გმობს სამხრეთ ოსეთის რეგიონში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს, რომლებმაც გამოიწვია დამნაშავეობის ესკალაცია, მსხვერპლი და მატერიალური ზიანი.

გ) ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონში კონფლიქტის მოუგვარებლობა მნიშვნელოვნად აფერხებს ქვეყნის განვითარებას;

დ) ევროკავშირმა ეუთოსთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფარგლებში უნდა გააძლიეროს თავისი მხარდაჭერა საქართველოსა და მთლიანად სამხრეთ კავკასიის რეგიონში კონფლიქტების მოგვარების საქმეში;

ე) ამასთანავე აფხაზეთში 2004 წლის 3 ოქტომბერს ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნები უნდა ჩაითვალოს არალეგიტიმურად, ვინაიდან აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებით არ არის მიღწეული საბოლოო შეთანხმება დაც არჩევნებში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ 115 000 ამომრჩეველმა, როდესაც 300 000 ქართველ მოქალაქეს ჩამოერთვა თავისი სამოქალაქო უფლებები საცხოვრებელი ადგილიდან გამოძევების გზით;

ვ) გმობს რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების განცხადებას სამხრეთ კავკასიის რეგიონზე პრევენციული სამხედრო დარტყმების განხორციელების თაობაზე, რასაც რუსეთის ხელისუფლება საფუძვლად უდებს რუსეთის უსაფრთხოების დოქტრინას. ამასთანავე ევროპარლამენტი კიდევ ერთხელ ამახვილებს ყურადღებას რუსეთის როლზე არსებული კონფლიქტების მოგვარების საკითხში;

1. ევროპარლამენტი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. მიიჩნევს, რომ აფხაზეთისა და ოსეთის კონფლიქტების მოგვარება უნდა მოხდეს მხოლოდ მშვიდობიანი მო0ლაპარაკებებისა და ნდობის აღდგენის გზით, საქართვერლოს მოქალაქეენბის უფლების გათვალისწინებით, თვითონ განსაზღვრონ საკუთარი კულტურული, სოციალური, ეკუნომიკური და პოლიტიკური განვითარების გზები;

2. აღნიშნავს, რომ კონფლიქტის ზონის სრული დემიტილიტარიზაცია, რომელიც არ ითვალისწინებს ეუთოს ერთობლივ სამშვიდობო მისიას, წარმოადგენს კონფლიქტის მოპგვარების აუცილებელ წინაპირობას; მიმართავს საბჭოს მხარი დაუჭიროს ეუთოს მისიის ეფექტურობის ამაღლებას რეგიონში;

3. არ აღიარებს აფხაზეთში ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებს და მოუწოდებს კომისიას და საბჭოს მხარი დაუჭირონ გაეროს ეგიდით მოპლაპარაკებების ინტენსიურ წარმოებას აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საქმეში;

4. მიესალმება საქართველოში უსაფრთხოებისა და თავდაცვის ევროპული პოლიტიკის ფარგლებში კანონის უზენაესობის მისიის საქმიანობიოს დაწყებას. მიიჩნევს, რომ მისიის საქმიანობა არის წინაგადადგმული ნაბიჯი ევროკავშირსა და საქართველოს შოპრის ურთიერთობათა

გაღრმავების საქმეში და ხელს შეუწყობს საქართველოს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის მიზნებისა და პრინციპების გაზიარებაში;

5. მოუწოდებს ევროკავშირს და მოქმედ თავმჯდომარეს უზურნველყოს სამხრეთ კავკასიის რეგიონში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი ყველა საჭირო რესურსით, რათა მისი საქმიანობა გახდეს ეფექტური და თვალსაჩინო და გადადგას შემდგომი ნაბიჯები, რათა უზრუნველყოს ევროკავშირის პოლიტიკის გატარება რეგიონში, რომელიც ასევე მოიცავს შუამავლობას კონფლიქტში მონაწილე მხარეთა შორის;

6. მოუწოდებს საბჭოსა და კომისიას სრულად ჩართონ რუსეთის ფედერაცია სტაბილურობის უზრუნველყოფის პროცესში პოლიტიკური მოლაპარაკებების საშუალებით; ასევე მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას თავი შეიკავოს ნებისმიერი ქმედებისგან, რომელმაც შეიძლება საფრთხის ქვეშ დააყენოს ეს პროცესი. ასევე მოუწოდებს საბჭოს და კომისიას რუსეთთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების ფარგლებში დიალოგისას დღის წესრგში შეიტანოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი;

7. მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას პატივი სცეს საკუთარ 1999 წლის სტამბოლის სამიტზე აღებულ ვალდებულებებს შეიარაღებულის ძალების შემცირებასა და საქართველოდან გაყვანასთან დაკავშირებით; ასევე მხარს უჭერს საქართველოს მიერ მიცემულ პირობას, რომელიც გაჟღერდა გაეროში პრეზიდენტ საკაშვილის მიერ, რომ რუსეთის სამხედრო ძალ;ების საქართველოდან გაყვანის შემთხვევაში მათ არ ჩაენაცვლება უცხო ქვეყნის სამხედრო ძალები;

8. მოუწოდებს ევროკავშირს აქტიურად ჩაერთოს ახალი ინიციატივების შემუსავებში რეგიონში კრიზისული სიტუაციების დასაძლევად;

9. ამ მიმაერთულებით მიესდალმება საქართველოს პრემიერმინისტრს ზურაბ ჟვანიასა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტთსა ლიდერის ედუარდ კოკოითს შორის მიღწეულ შეთანხმებას სამომავლო შეხვედრის შესახებ; მოუწოდებს საბჭოს თვალყური ადევნოს მოვლენათა განვითარებას, არ დაიშუროპს არანაირი ძალისხმევა დიალოგის წარმართვისაღტვის და ხელი შეუწყოს სიტუაციის დაძაბვის თავიდან აცილებას;

10. მიუთითებს ევროპარლამენტის თავჯდომარეს გადაუგზავნოს ეს რეზოლუცია საბჭოს, კომისიას და მოქმედ თავჯდომარეს, გაეროს გენერალურ მდივანს, ეუთოს, ნატროს გენერალურ მდივანს, სდაქართველოს პრეზიდენტსა და პარლამენტს, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დეფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებს;**ბრიუსელი, 14 ოქტომბერი 2004 წელი.**

(www.Parliament.ge. საკუთარი თარგმანი)